გიწვევთ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მიერ საერთაშორისო კონფერენციის „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემების“ ფარგლებში ორგანიზებულ

ვლადიმირ ბელოგოლოვსკის საჯარო ლექციაზე

„საკვანძო მოვლენები და ტენდენციები თანამედროვე არქიტექტურაში“

http://gtu.ge/Arch/

http://gtu.ge/Arch/Pdf/publications/vladimer%20belogolovski.pdf

http://www.curatorialproject.com/exhibitions/voicesshanghai.html

2019 წლის 7 ივნისს არქიტექტურის ფაკულტეტის მოწვევით საერთაშორისო კონფერენციის „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ ფარგლებში საქართველოში ჩამოდის არქიტექტურის კრიტიკოსი, ცნობილი ჟურნალისტი, არქიტექტორი ვლადიმირ ბელოგოლოვსკი.

ის არის კონტინენტშორისი კურატორული პროექტის დამფუძნებელი, რომელიც კონცენტრირებულია არქიტექტურული გამოფენების ორგანიზაციაზე და დიზაინზე. მას გამოშვებული აქვს ორასზე მეტი სტატია და ხუთი წიგნი.

ვლადიმირ ბელოგოლოვსკი თბილისში ჩაატარებს წიგნის „ნიუ-იორკის გიდის“ პრეზენტაციასა და საჯარო ლექციას, თემაზე „ საკვანძო მოვლენები და ტენდენციები თანამედროვე არქიტექტურაში“.

საჯარო ლექცია ჩატარდება ტექნოპარკის საკონფერენციო სივრცეში.
მის: TECH PARK GEORGIA, ინოვაციის ქ.7, ოქროყანა
საათი - 18:15 – 20:30

გთხოვთ, დაესწროთ აღნიშნულ ღონისძიებას

კონფერენციის ფორმატი

http://gtu.ge/Arch/

საქართველოში იმყოფება ვიზიტით და კონფერენციაზე გამოვა მოხსენებით Floornature.com | Design and Trend მედია ჰოლდინგის წამყვანი ჟურნალისტი, არქიტექტორი, კრიტიკოსი.ვირჯინია კუჩი.

კონფერენციაში ღებულობენ მონაწილეობას არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობითი დარგის წამყვანი სპეციალისტები, საქართველოდან - ვლადიმერ ვარდოსანიძე, ნიკოლოზ შავიშვილი, გია ყიფიანი და სხვები, ასევე კონფერენციას სტუმრობს აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტის პროფესორი ფარიდე გასიმოვა.

კონფერენცია ჩატარდება 2019 წლის 7 ივნისს საქართველოს ტექნკური უნივერსიტეტის გ. ნიკოლაძის სახ. დარბაზში

საორგანიზაციო ჯგუფში შედიან: გია ნაცვლიშვილი; ნინო ჩაჩავა; ბადრი გორგილაძე; ბელა თინიკაშვილი

კონფერენციის პროგრამა

1. 11:00 – 11:25 - ძველის სამყაროს არქიტექტურული ლექსიკონი, პროფესორი გ. ყიფიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. 11:25 – 11:50 - არქიტექტურული კრიტიკის თავისებურებანი და მნიშვნელობა დღევანდელი არქიტექტურის განვითარებაში, ვ. ბელოგოლოვსკი - არქიტექტორი,არქიტექტურის კრიტიკოსი, ჟურნალისტი, ინტერკონტინენტალური კურატორული პროექტის ხელმძღვანელი.

3. 11:50 – 12:15 - ურბანისტიკა და ქვეყნის ტერიტორიების სახელმწიფოებრივი მოწყობა. პროფ. ვ. ვარდოსანიძე, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისადა დიზაინის ფაკულტეტი.

4. 12:15 – 12:40 - ქალაქის ახალი სიცოცხლე, ნირჯინია კუჩი, არქიტექტურის კრიტიკოსი, ჟურნალისტი, Floornature მედია ჰოლდინგი (Floornature.com/Design and Trend), იტალია.

5. 12:40 – 13:05 - ქ. ბაქოს განვითარება და მოდერნიზაცია, როგორც უმსხვილესი სატრანსპორტო ჰაბისა სამხრეთ კავკასიაში 2009-2019 წლების შუალედში, პროფ. ფ.გასიმოვა, აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი.

6. 13:05 – 13:30 - თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა არქიტექტურული მეხსიერების ჭრილში, ასოც. პროფ. ნ. ჩაჩავა, დოქტორანტი ნ. ლეკვეიშვილი, არქიტექტორი მ. ლეკვეიშვილი, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ააიპ „ინჟინრული აზრი“.

13:30 – 14:25 -შესვენება

7. 14:00 – 14:25 - აზროვნების სწავლების მეთოდოლოგიური სირთულეები, ჯგუფური პროექტების თემატური კვლევები, პროფ. ნ. შავიშვილი, სტუ-ს დიზაინის საერთაშორისო სკოლა.

8. 14:25 – 14:50 - თანამონაწილეობრივი ურბანული დაგეგმარება ჭკვიანი სისტემების გამოყენებით, ასოც. პროფ. მ. ფოჩხუა; პროფ. ნ. იმნაძე; დოქტორანტი გ. გაბუნია; ო. მჭედლიშვილი, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

9. 14:50 – 15:15 - სამუშაო სივრცეები ციფრული სამყაროს ეპოქაში, დოქტორანტი, ნ. ლეკვეიშვილი; სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

10. 15:15 – 15:40 - დარგის დაკარგული ფანტომები... ასოც. პროფ. მ. მელქაძე, სტუ-ს არქიტექტურის,ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი.

11. 15:40 – 16:00 - სამცხე-ჯავახეთის ტურისტული კლასტერის სივცითი დაგეგმვის კობცეფცია, არქიტეტორი თ. ხოშტარია, ააიპ „ინჟინრული აზრი“.